



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

15.12.2014

№ 48

სარჩევი

| | |
|---|----|
| საქართველო..... | 3 |
| 2014 წლის ნოემბრის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები | 3 |
| ჩოხატაურის რაიონში 400 აბონენტის ენერგომომარაგება გაუმჯობესდა..... | 3 |
| რეგიონი | 4 |
| „ტანაპი“ და „თურქული ნაკადი“ ურთიერთშემავსებელი პროექტები იქნება..... | 4 |
| EBRD-ი თურქეთის „კირიკალეს“ თბოსადგურის დაფინანსებას უზრუნველყოფს..... | 5 |
| რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები | 6 |
| რუსეთმა და ინდოეთმა ატომური ელექტროსადგურის 12 ბლოკის მშენებლობის შესახებ მოილაპარაკა | 6 |
| ბელარუსი უკრაინისა და რუსეთის ენერჯიაზე დამოკიდებულებას ამცირებს | 8 |
| ევროპა | 9 |
| საუკუნოვან ჰიდროელექტროსადგურს 15 მლნ ფუნტიანმა რეკონსტრუქციამ ახალი სიცოცხლე შესძინა | 9 |
| ესტონეთის სახელმწიფო გადაცემის სისტემის ოპერატორი 2015 წელს განახლებად ენერჯიაზე გადასახადს ზრდის | 10 |
| მსოფლიო..... | 11 |
| 2015 წელს ნავთობზე ფასების გაზრდისათვის მსოფლიო ეკონომიკის 4%-იანი ზრდის პროგნოზი კეთდება..... | 11 |
| ქუვეითი აზიას 2008 წლის შემდეგ ნავთობზე ყველაზე დიდი ფასდაკლებას სთავაზობს | 12 |
| გათიშვების პრობლემის აღმოსაფხვრელად სამხრეთ აფრიკა განახლებადი ენერჯიის გაზრდას გეგმავს | 13 |
| ანალიტიკა | 14 |
| წყლის ენერჯია ქალაქის სამართავად | 14 |
| „ხე“, რომელიც ელექტროენერჯიას წარმოქმნის | 15 |

2014 წლის ნოემბრის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები

2014 წლის ნოემბრის თვეში ესკო-ს მეშვეობით შესყიდულმა (გაყიდულმა) საბალანსო ელექტროენერჯის რაოდენობამ 152 849 437.4 კვტ.სთ შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში ქსელში მთლიანი მიწოდების 16% წარმოადგენს. საბალანსო ელექტროენერჯის ღირებულებამ 17 886 518.5 ლარი შეადგინა.

ნოემბერში საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილმა ფასმა ერთ კვტ.სთ-ზე 11.7020506 თეთრი შეადგინა, ხოლო დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერჯის ფასმა კი 7.319 თეთრი/კვტ.სთ.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერჯის მომწოდებლები ძირითადად იყვნენ ჰიდროელექტროსადგურები. აგრეთვე, ნოემბრის თვეში ესკო-ს მიერ განხორციელდა ელექტროენერჯის იმპორტი რუსეთიდან, როგორც ავარიული, ასევე კომერციული ხელშეკრულებით. საბალანსო ელექტროენერჯის მთლიან მოცულობაში ჰიდროელექტროსადგურების წილი 9% იყო, ხოლო იმპორტის – 91%.

2014 წლის ნოემბრის თვეში ესკო-დან საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვა განახორციელეს გამანაწილებელმა ენერგოკომპანიებმა და პირდაპირმა მომხმარებლებმა. მათი წილობრივი მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში, შესაბამისად, 83% და 17% შეადგენს.

ნოემბრის თვეში გარანტირებული სიმძლავრის სამივე წყაროს მიერ ფაქტობრივად უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიანი ღირებულება იყო 3 549 146 ლარი, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების მიერ ყოველ მოხმარებულ კილოვატ საათზე გადახდილმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა 0.46167260 თეთრი შეადგინა.

ჩოხატაურის რაიონში 400 აბონენტის ენერგომომარაგება გაუმჯობესდა

კომპანია "ენერგო-პრო ჯორჯიამ" 35 კვ გადამცემი ხაზი "ერკეთის" რეაბილიტაცია დაასრულა. შედეგად, 400 აბონენტის ენერგომომარაგება ჩოხატაურის რაიონის 4 სოფელში უფრო საიმედო და ხარისხიანი გახდა. ამის შესახებ ინფორმაციას "ენერგო-პრო ჯორჯია" ავრცელებს.

მათივე ცნობით, გადამცემი ხაზი "ერკეთი", სადაც შეიცვალა 3 ანძა და გაიჭიმა 2 კმ სიგრძის კაბელი, ელექტროენერჯით ამარაგებს სოფლებს ნაბედლაღვი, ბჟოლიეთი, ხევი

და ბუქსიეთი. ხაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 10 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. სამუშაოების დასრულების შემდეგ, აღნიშნულ სოფლებში ელექტროენერჯის მიწოდება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და სტაბილური გახდა.



"ქსელის რეაბილიტაცია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოებას და სტაბილურობას; თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ მაღალი ძაბვის ქსელში სამუშაოების განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსებს და დროს. შესაბამისად, ავარიების შედეგად გამოწვეული

გათიშვების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ენერგო-პრო ჯორჯია მომავალშიც განაგრძობს ქსელში სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებას", – განაცხადა ენერგო-პრო ჯორჯიას საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა, ავთო დვალიშვილმა.¹

რეგიონი

„ტანაპი“ და „თურქული ნაკადი“ ურთიერთშემავსებელი პროექტები იქნება

ტრანსანატოლიური გაზსადენისა (TANAP) და რუსეთიდან თურქეთისაკენ მიმავალი (ე.წ. „თურქული ნაკადი“) გაზსადენის მშენებლობის პროექტები შესაძლოა ურთიერთშემავსებელი გახდნენ. ამის შესახებ ჟურნალისტებს აზერბაიჯანში თურქეთის ელჩმა ისმაილ აპერ ჯოშგუნმა პარასკევს განუცხადა.

რუსეთ-თურქეთის გაზის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებაზე საუბრისას ელჩმა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით ეს შეთანხმება მხოლოდ განზრახულობის დონეზეა მიღწეული. „ჩვენ გავაგრძელებთ ამ საკითხზე მუშაობას, რომლის გადაწყვეტაც ორივე მხრიდან დამოკიდებულია პროექტის რენტაბელურობაზე. ასეთი პროექტების რეალიზება მხოლოდ მათი ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენის შემდეგ ხდება“, – აღნიშნა მან. ამასთან, მან გამორიცხა თურქეთის მხრიდან ძალისხმევის შესუსტება TANAP-ის რეალიზაციის მიმართულებით. ჯოშგუნის თქმით, TANAP-ის ფარგლებში სამუშაოები გეგმის მიხედვით და ყველა პარტნიორთან შეთანხმებით ხორციელდება.

¹ <http://www.interpressnews.ge/ge/regioni/308763-chokhatauris-raionshi-400-abonentis-energomomargeba-gaumjobesda.html?ar=A>

გასულ კვირას თურქეთში მიმდინარე მოლაპარაკებებისას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთს მოცემულ პირობებში არ შეუძლია „სამხრეთის ნაკადის“ განხორციელება, მათ შორის ევროკავშირის არაკონსტრუქციული პოზიციის გამოც. მოგვიანებით, „გაზპრომის“ მეთაურმა ალექსეი მილერმა განაცხადა, რომ „სამხრეთის ნაკადის“ პროექტი დახურულია.

მანამდე „გაზპრომმა“ და კომპანია BOTAS-მა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს შავი ზღვიდან თურქეთის მიმართულებით წელიწადში 63 მილიარდი კუბური მეტრის გამტარობის საზღვაო გაზსადენის მშენებლობის შესახებ. თურქეთისათვის 14 მილიარდი კუბური მეტრის მიწოდებაა გათვალისწინებული, ხოლო დანარჩენი მოცულობა - ეს კი დაახლოებით 50 მილიარდი კუბური მეტრი გაზია - თურქეთისა და საბერძნეთის საზღვრამდე მივა.

რუსეთის ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილემ კირილ მოლოდცოვმა 11 დეკემბერს განაცხადა, რომ რუსეთიდან თურქეთის მიმართულებით წყალქვეშა გაზსადენის პროექტირებას, შესაძლოა, 1-1.5 წელი დაჭირდეს.

თურქეთ-რუსეთის დამაკავშირებელი ახალი გაზსადენის მშენებლობის შესახებ მოლაპარაკებები სავარაუდოდ 2019-2020 წლებში დაიწყება.

რუსეთი თურქეთისათვის გაზის ძირითად მიმწოდებელს წარმოადგენს. გასულ წელს თურქეთს 26.7 მლრდ კუბ.მ რუსული გაზი მიეწოდა. მიმდინარე წელს რუსეთიდან თურქეთში გაზის მიწოდების მოცულობების 30 7 მლრდ კუბ.მ-მდე გაზრდა იგეგმება.

19 ნოემბერს თურქეთმა და ალჟირმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ალჟირიდან გაზის მიწოდების შესახებ. კონტრაქტის მოქმედების ვადა 10 წელს შეადგენს.

თურქეთს ასევე აქვს შესყიდვის კონტრაქტები აზერბაიჯანთან, ირანთან და ნიგერიასთან.²

EBRD-ი თურქეთის „კირიკალეს“ თბოსადგურის დაფინანსებას უზრუნველყოფს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, თურქეთში დაგეგმილ 1 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების „კირიკალეს“ თბოსადგურის მშენებლობისთვის 250 მლნ აშშ დოლარს გამოყოფს. კომბინირებული ციკლის გაზის ტურბინიანი თბოსადგურის მშენებლობას, რომლის სიმძლავრე 950 მგვტ იქნება, თურქეთში საუდის არაბეთის კომპანია ACWA Power International-ის შვილობილი კომპანია განახორციელებს. აღნიშნული პროექტი ACWA-თვის თურქეთში პირველი ინვესტიცია იქნება, გარდა ამისა კომპანია ოპერირებას უწევს 15 000 მგვტ ჯამური სიმძლავრის ელექტროსადგურებს შუა

² <http://www.trend.az/business/energy/2343064.html>

აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ აფრიკაში. ბოლო წლების მანძილზე თურქეთში ეს EBRD-ის უდიდესი ინვესტიცია იქნება. 250 მლნ აშშ დოლარიდან 200 მილიონი EBRD-ის საკუთარი ანგარიშიდან გადმოირიცხება, ხოლო დარჩენილი თანხა Banque Saudi Fransi-თან ერთად სინდიკატური სესხი იქნება.

გარდა ამისა, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC) მსგავსი ტიპის სესხს უზრუნველყოფს 170 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, რომლიდანაც 45 მლნ აშშ დოლარი კორეის განვითარების ბანკის მიერ გამოიყოფა.

კირიბაკალის თბოსადგური თურქეთის დედაქალაქ ანკარასთვის საჭირო ენერჯის ნახევარს გამოიმუშავებს და ასევე მიმართული იქნება ქვეყნის ქვანახშირის გამოფრქვევის შემცირებისკენ, რომელიც 1.825 მლნ ტონა იქნება.³

რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები

რუსეთმა და ინდოეთმა ატომური ელექტროსადგურის 12 ბლოკის მშენებლობის შესახებ მოილაპარაკა

20 წლის განმავლობაში რუსეთი ინდოეთში ატომური ელექტროსადგურის სულ ცოტა 12 ბლოკს ააშენებს. „როსატომის“ მეთაურის სერგეი კირიენკოს ინფორმაციით მიღწეულია შესაბამისი შეთანხმება ორ ქვეყანას შორის, იუწყება რია ნოვოსტი.

„ჩვენ ვაფორმებთ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომლის თანახმადაც 20 წლის განმავლობაში ატომური ელექტროსადგურის არანაკლებ 12 ბლოკის აშენებაა გათვალისწინებული, ანუ - არანაკლებ 2 ატომური ელექტროსადგურისა“, - განაცხადა კირიენკომ. ამასთან დასძინა, რომ ორივე მხარემ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას აეს „კუდანკულამის“ მე-3 და მე-4 ენერგობლოკებისათვის მოწყობილობების მიწოდების შესახებ.

კირიენკოს თქმით, პროექტების ფინანსირების მექანიზმი ტრადიციული იქნება და სახელმწიფო კრედიტით განხორციელდება. სამშენებლო სამუშაოების და ინდური წარმოების მოწყობილობების შეძენას ინდური მხარე ანაზღაურებს. სამუშაოები ახალ ენერგობლოკზე 2016 წელს დაიწყება.

ამას გარდა, „როსატომის“ ხელმძღვანელის თქმით, ქვეყნები გეგმავენ, ხელი მოაწერონ შეთანხმებას რუსეთისა და ინდოეთის ატომური ენერგეტიკის სამეცნიერო

³NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 742, 10 December 2014, EBRD to provide financing for Turkey's Kirikkale TPP

სფეროსთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლის შესახებ. მხარეები განიხილავენ მესამე ქვეყნებში მუშაობის ფარგლებში თანამშრომლობის საკითხსაც.

„ჩვენ ვთანამშრომლობთ ისეთ საკითხებში, როგორცაა კვლევითი რეაქტორები, ახალი თაობის რეაქტორები, მათ შორის - საწვავის სახით თორიუმის გამოყენებით, განვიხილავთ ურანის მოპოვებისა და გამდიდრების სფეროში თანამშრომლობასაც. დღეს შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ რუსეთსა და ინდოეთს შორის თანამშრომლობა აბსოლუტურად სტრატეგიულ ხასიათს ატარებს“, - აღნიშნა მან.



სერგეი კირიენკომ ასევე განაცხადა, რომ „როსატომის“ საგარეო შეკვეთების ათწლიანმა პორტფელმა 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. „როსატომის“ ხელმძღვანელის თქმით, სახელმწიფო კორპორაცია ზეამბიციურ მიზანს ისახავდა გასულიყო 98 მილიარდ

დოლარზე, მაგრამ ეს სანქციებისა და რიგი შეზღუდვების დაწესებამდე იყო. „სანქციების შემდეგ ცოტას თუ სჯეროდა, რომ ამ ამოცანას თავს გავართმევდით. ჩვენ არა მარტო გავართვით თავი, არამედ გადავაჭარბეთ კიდევ. დღეისათვის ჩვენ გვაქვს 100,3 მილიარდი დოლარის ხელმოწერილი შეკვეთების პორტფელი“, - მოჰყავს კირიენკოს სიტყვები „ინტერფაქსს“.

„როსატომი“ - რუსული სახელმწიფო კორპორაციაა, რომელიც მაღალი ტექნოლოგიების გლობალურ ბაზარზე საქმიანობს. ის 350-ზე მეტ კომპანიასა და სამეცნიერო ორგანიზაციას აერთიანებს, მათ შორის ყველა სამოქალაქო ტიპის ატომურ დარგს, ბირთვული შეიარაღების კომპლექსის საწარმოებს და მსოფლიოში ერთადერთ ატომურ ყინულმჭრელ ფლოტს.

„კუდანკულამის“ აეს-ის პირველი ორი ბლოკის მშენებლობა, ჯამური სიმძლავრით 2000 მგვტ, 2002 წელს დაიწყო „ატომსტროიექსპორტის“ ხელმძღვანელობით. პროექტის დამკვეთს წარმოადგენს ატომური ენერგეტიკის ინდური კორპორაცია. „კუდანკულამი“ პირველი ატომური ელექტროსადგურია, რომელიც „ფუკუსიმა-1“ აეს-ის კატასტროფის შემდეგ შემოღებული სტანდარტებით აშენდა. პირველი ენერგობლოკის გაშვება იგეგმებოდა 2011 წლის ბოლოს, მაგრამ თამილის შტატის მოსახლეობის აეს-ის

მშენებლობის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლების გამო, ის ქსელში 2013 წელს ჩაერთო.⁴

ბელარუსი უკრაინისა და რუსეთის ენერჯიაზე დამოკიდებულებას ამცირებს

ბელარუსის ენერჯეტიკის სამინისტროს ენერგო ეფექტურობის საბჭოს დირექტორის მიხაილ მალაშენკოს განცხადებით, ბელარუსი 2018 წლიდან ელექტროენერჯიის იმპორტის შეწყვეტას აპირებს. 2018 წელს, როცა ბელარუსი ექსპლუატაციაში გაუშვებს პირველ ბირთვულ ელექტროსადგურს, დიდი ალბათობით ქვეყანა ელექტროენერჯიის წმინდა ექსპორტიორი გახდება და წარმოების ღირებულებაც შემცირდება.

ბელარუსი ბირთვულ სადგურს ოსტროვეცის ტერიტორიაზე აშენებს, რომელიც ლიტვის საზღვართან მდებარეობს და ამისათვის რუსულ ფულსა და ტექნოლოგიებს იყენებს. რუსეთი პროექტისათვის დაახლოებით 10 მლრდ აშშ დოლარის გამოყოფს. სადგური 2 რეაქტორისგან შედგება, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 2 400 მგვტ შეადგენს. პირველი მათგანი მზად 2018 წელს, ხოლო მეორე - 2020 წელს იქნება. აღნიშნული ბირთვული სადგურის ექსპლუატაციის შემდეგ ქვეყანა რუსეთსა და უკრაინაზე ენერჯიის იმპორტის კუთხით მნიშვნელოვნად დამოკიდებული აღარ იქნება. ქვეყანამ უკვე დაიწყო იმპორტის შემცირება. იანვარ-სექტემბერში, ენერჯიის იმპორტი 31.6%-ით 3.7 მლრდ კვტ.სთ-მდე შემცირდა წინა წელთან შედარებით. გარდა ამისა, თითქმის ორჯერაა გაზრდილი ლიტვაში ექსპორტი, რომლის ჯამური ღირებულებაც 30 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ამავე პერიოდში ბელარუსმა წარმოება 8.5%-ით გაზარდა 22.3 მლრდ კვტ.სთ-მდე. 2014 წლის იანვარ-სექტემბერში მშპ-ს 1.5%-იანი ზრდის მიუხედავად, ადგილობრივი მოხმარება წინა წელთან შედარებით 0.1%-ით შემცირდა.

ბელარუსის მთავრობას წლის დასაწყისში დაგეგმილი ქონდა 4.2 მლრდ კვტ.სთ. ელექტროენერჯიის იმპორტი, მათ შორის 1.2 მლრდ კვტ.სთ რუსეთიდან, ხოლო დანარჩენი უკრაინიდან. თუმცა უკრაინაში არსებული საომარი ვითარების გამო, რამაც ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები მნიშვნელოვნად შეაფერხა, ქვეყანამ ბელარუსს ოქტომბერში ენერჯია ვეღარ მიაწოდა.

მომდევნო წლისთვის ბელარუსი ენერჯიის იმპორტის შემცირებას 2.5 მლრდ კვტ.სთ-მდე აპირებს, რომელშიც რუსეთის და უკრაინის წილი შესაბამისად, 1.5 და 1 მლრდ კვტ.სთ იქნება.⁵

⁴ <http://lenta.ru/news/2014/12/11/india/>

საუკუნოვან ჰიდროელექტროსადგურს 15 მლნ ფუნტიანმა რეკონსტრუქციამ ახალი სიცოცხლე შესძინა

ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც ელექტროენერგიას საუკუნეზე მეტია რაც აწარმოებს, 15 მლნ ფუნტის ღირებულების რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. „დოლგაროგის“ ელექტროსადგური თავდაპირველად, 1907 წელს, ალუმინის ქარხნისთვის ელექტროენერგიის მისაწოდებლად აშენდა ქონვის ხეობაში, ხოლო მისი გაფართოება 1920-იან წლებში მოხდა. ალუმინის ქარხნები დაიკეტა, თუმცა ელექტროსადგური, რომელიც ამჟამად RWE Innogy-ის საკუთრებაა, კვლავ განაგრძობს მუშაობას და ეროვნულ ქსელს ელექტროენერგიით ამარაგებს.

RWE Innogy-ის განცხადებით, ინვესტიცია დაეხმარება ჰიდროელექტროსადგურს მომავალში ხანგრძლივი დროის მანძილზე გამართულად ფუნქციონირებაში და 40 თანამშრომელს სამუშაო ადგილს შეუნარჩუნებს. პირველმა მინისტრმა ქარვინ ჯონსმა



კვლავ ჩართო ელექტროსადგური სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, რომლის ფარგლებშიც დამონტაჟდა კილომეტრიანი მიწოდების მილსადენი, ახალი ტურბინა გენერატორი და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები.

მანვე აღნიშნა: „ განახლებადი ენერჯის სექტორს უელსისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. სასიამოვნოა, რომ ეს ისტორიული ელექტროსადგური შეკეთდა და კვლავ მოიტანს ეკონომიკურ სარგებელს მომავალში. ჩრდილოეთ უელსს გრძელი და ინოვაციური წარსული აქვს განახლებადი ენერჯის წარმოების დაგრძელება და როგორც ჩანს, ნათელი მომავალიც“.

პროექტის ღირებულების თითქმის ნახევარი, 7 მლნ ფუნტი ადგილობრივი კომპანიების მხრიდან დაიხარჯა. ადგილობრივი მოსახლეობის სასარგებლოდ აშენდა ახალი მაგისტრალი და შეკეთდა გზები. სამუშაოების შედეგად, გამოიცვალა 1.2 კმ

⁵NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 742, 10 December 2014, Belarus cuts dependence on Ukrainian, Russian power

მილსადენი, რომელიც წყალს რეზერვუარიდან იღებს და ამარაგებს „დოლგაროგს“. ასევე გამოიცვალა 4 ტურბინა და მილსადენები, რომლებიც 100 წლის იყო.⁶

ესტონეთის სახელმწიფო გადაცემის სისტემის ოპერატორი 2015 წელს განახლებად ენერჯიაზე გადასახადის ზრდის

ესტონეთის სახელმწიფო გადაცემის სისტემის ოპერატორის, Elering-ის განცხადებით განახლებადი ენერჯიის ფასი 2015 წლისთვის კვტ.სთ-ზე 0.0089 ევრო (0.0109 აშშ დოლარი) იქნება, რაც მიმდინარე ტარიფის 0.0012 ევროთი (0.0095 აშშ დოლარი) გაძვირებას ნიშნავს.

კომპანიის თავმჯდომარემ თავი ვესკიმაგიმ აღნიშნა, რომ ეს საფასო პოლიტიკაში ერთგვარ ცვლილებას წარმოადგენს. წინა წლებში ფასმა 20%-ით დაიწია, რაც ძირითადად სუსტი ქარის გამო იყო გამოწვეული, ქარის ელექტროსადგურის შემცირებული წარმოებითა და ბიომასის ელექტროენერჯიის წარმოების სუბსიდიებზე უარის თქმით. მისივე განცხადებით, Elering-ს საშუალება ექნება დაიბრუნოს გარკვეული თანხა, რომელიც მან წინასწარ შეაგროვა მომხმარებლებისთვის დაბალი გადასახადების სახით. „მომავალი წლის ტარიფი შეესაბამება განახლებადი ენერჯიის მხარდაჭერის მიმდინარე დონეს“.

საფასო პოლიტიკა შესაძლოა ისევ შეიცვალოს ზრდის მიმართულებითაც კი, თუ ესტონეთის მთავრობა შეცვლის თავის პოლიტიკას განახლებადი ენერჯიის სუბსიდირების კუთხით. „ელექტროენერჯიის ბაზრის კანონში ცვლილებების განხორციელებისთანავე Elering-ი მზად იქნება თავიდან დაითვალოს განახლებადი ენერჯიის საფასური წლის განმავლობაში“, თქვა ვესკიმაგიმ.

მოსალოდნელია, რომ ტალინმა განახლებადი ენერჯიის სუბსიდირებისთვის 72.3 მლნ ევრო (88.78 მლნ აშშ დოლარი) გამოყოს 2015 წლისთვის. ეს სექტორს მისცემს საშუალებას, აწარმოოს 1.417 მლრდ კვტ.სთ



ელექტროენერჯია მომავალ წელს. 2012 წელს Elering-ის მიერ დაწესებული განახლებადი ენერჯიის საფასური 0.0097 ევრო (0.0119 აშშ დოლარი) იყო. შემდეგ, 2013 წელს ფასი 0.0087 ევრომდე (0.0107 აშშ დოლარი) დაეცა, ხოლო 2014 წელს 0.0077 ევროს მიაღწია.

⁶ <http://www.walesonline.co.uk/business/business-news/century-old-hydropower-station-been-given-8271846>

გადაცემის სიტემის ოპერატორი წელიწადში ერთხელ ითვლის განახლებადი ენერჯის საფასურს, რომელიც დაწესებულია მთავრობის მიერ. ამას ესტონეთის ელექტროენერჯის ბაზრის კანონებზე დაყრდნობით აკეთებს. ქსელის ოპერატორი აგროვებს გადასახადებს და შემდეგ უბრუნებს Elering-ს, რომელიც თავის მხრივ ამ გადასახადებს იყენებს განახლებადი ენერჯის წარმოების სუბსიდირებისთვის.⁷

მსოფლიო

2015 წელს ნავთობზე ფასების გაზრდისათვის მსოფლიო ეკონომიკის 4%-იანი ზრდის პროგნოზი კეთდება

გასულ კვირას „ოპეკმა“ ნავთობის უფერული ბაზრის მიმოხილვის მიზნით კონფერენცია ჩაატარა. როგორც პროგნოზებით დგინდება ახალ წელს მსოფლიო ეკონომიკის ზრდა დაბალი, მაგრამ მდგრადი იქნება 4%-იანი მაჩვენებლით. ეს ზრდა გამოყვანილია გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღებისა და 2015 წელს ნავთობზე მოთხოვნის ზრდის გათვალისწინებით. ამის მტკიცების საშუალებას იძლევა ის ფაქტი, რომ მრავალი სტაბილური პროექტის არსებობა, საშუალოდ ხუთ წელზე მეტის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (OECD) არშემავალი მარაგების მუდმივ ზრდასთან ერთად, კარგად უზრუნველყოფილი ბაზრის მაჩვენებლებს წარმოადგენს.

საერთო ჯამში „ოპეკმა“ გადაწყვიტა, თავისი ძველი გეგმების ერთგული დარჩეს, რომელიც 2011 წელს დასახა, და წარმოების დონე დღეში 30 მილიონ ბარელზე შეინარჩუნოს. კონფერენციაზე ექვზარეშე იყო ნავთობზე ფასის მკვეთრი დაცემით გამოწვეული შემფოთება, თუმცა „ოპეკმა“ წამოაყენა წინადადება, რომ ამ პერიოდში ის აძლევს დროს მწარმოებლებს ინვესტირებისათვის. ფასის დაცემამ აიძულა მსხვილი მოთამაშეები, უფრო შორეულ პერსპექტივაში განიხილონ ნავთობის მომავალი, თუ რა ქმედებები უნდა განახორციელონ მომავალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

საბოლოოდ კონფერენციამ 2015 წლის მცირე, მაგრამ მდგრადი ზრდის პოზიტიური პროგნოზი დადო. „ოპეკის“ დღიური კალათის ფასი ხუთშაბათს 2014 წლის 4 დეკემბერს 66,27აშშ დოლარს შეადგენდა, ნედლმა ბრენტმა კი ორშაბათს 2014 წლის 1 დეკემბერს 63,72აშშ დოლარს მიაღწია ბარელზე, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში

⁷ Estonian TSO to raise renewable energy fees in 2015; www.newsBase.com

ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. საუდის არაბეთის მხრიდან ოფიციალური გასაყიდი ფასების ამჟამად რეზონანს გლობალური ბაზრის მასშტაბით იწვევს.⁸

ქუვეითი აზიას 2008 წლის შემდეგ ნავთობზე ყველაზე დიდ ფასდაკლებას სთავაზობს



ქუვეითი აზიელ მყიდველებს ბოლო ექვსი წლის მანძილზე ყველაზე დიდ ფასდაკლებას სთავაზობს, საუდის არაბეთსა და ერაყთან ერთად ფასების შემცირების პროცესში ჩართვით. სახელმწიფო ნავთობკომპანია Kuwait Petroleum Corp მომავალ თვეში ერთ ბარელ ნედლ ნავთობს რეგიონალურ

სტანდარტზე დაბალ ფასად, 3.95 აშშ დოლარად გაყიდის. ბლუმბერგის მონაცემების თანახმად, ეს 2008 წლის დეკემბრის შემდგომ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

მსოფლიოს უდიდესმა ნავთობმწარმოებელმა საუდის არაბეთმა აზიისა და აშშ-სთვის ოფიციალური ფასები შეამცირა, მას შემდეგ, რაც ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ წარმოების მხარდაჭერა გადაწყვიტა. ნედლი ნავთობით ვაჭრობა ხდება დაღმავალი ტენდენციის მქონე ბაზარზე, ვინაიდან აშშ-ის წარმოება ბოლო სამ ათწლეულში კიდევ უფრო აღრმავებს გლობალურ სიჭარბეს. “ამ სიტუაციაში, სადაც ადგილი აქვს ნავთობის გადაჭარბებულ მოხმარებას, ყველამ უნდა დაიცვას თავისი წილი ბაზარზე. მწარმოებლები ცდილობენ, გაყიდონ რაც შეიძლება მეტი ნავთობი, თუნდაც დაბალ ფასად“, განაცხადა გერიტ ზამბომ, ნავთობით მოვაჭრემ მიუნხენის Bayerische Landesbank-ში.

შუა აღმოსავლეთის მწარმოებლები მყიდველებისთვის იბრძვიან. მათ შეამცირეს ფასთა შორის სხვაობა და გაზარდეს წარმოება, იმ სპეკულაციით, რომ ცდილობენ დაიცვან საკუთარი წილი ბაზარზე. ერაყის ფასები აზიაში ყველაზე დაბალია ბოლო 11 წლის მანძილზე, ხოლო საუდის არაბეთმა ბოლო 14 წლის მანძილზე ყველაზე მეტად დაწია არაბულ ელექტროენერგიაზე ფასი.

„საუდის არაბეთის ციფრებმა მოსალოდნელს გადააჭარბა“, განაცხადა იოანეს ბეინიგნიმ, JBC Energy GmbH-ის თავმჯდომარემ, დუბაის ნავთობის ინდუსტრიის

⁸ <https://www.oilandgaseurasia.com/en/news/4-global-economic-growth-predicted-boost-oil-price-2015>

კონფერენციაზე. „შუა აღმოსავლეთის მომწოდებლებს მოუწევთ უფრო დიდი კონკურენციის გაწევა იმ მწარმოებლებთან, რომლებიც ნავთობს აშშ-სა და ევროპაში ყიდდნენ, იმის ფონზე, რომ მყიდველები ეძებენ ახალ, ნაკლებად ძვირადღირებულ მომწოდებლებს“, განაცხადა მან.

ირანელი ნავთობმწარმოებლები თავიანთი ნავთობის უდიდეს ნაწილს გრძელვადიანი კონტრაქტებით ჰყიდიან გადამამუშავებლებზე. „ბლუმბერგის“ მონაცემების მიხედვით, ქუვეითმა ბოლოს საუდის არაბეთს ნავთობი ფასდაკლებით 2000 წელს მიჰყიდა. ქუვეითი გამომუშავებით მესამეა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებთან ერთად და მეთორმეტეა OPEC-ის წევრ ქვეყნებს შორის.⁹

გათიშვების პრობლემის აღმოსაფხვრელად სამხრეთ აფრიკა განახლებადი ენერჯის გაზრდას გეგმავს

სამხრეთ აფრიკა გეგმავს, გაასამშავოს განახლებადი ენერჯის წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერჯის მოცულობა, რათა შეამსუბუქოს ენერჯის დეფიციტის პრობლემა, რომელმაც გასულ რამოდენიმე კვირაში გათიშვები გამოიწვია.

„ბიომასის, ქარის, მზისა და წყლის რესურსები „მომავალში“ ქსელს მოამარაგებს



11.4 გიგავატი ენერჯით“, განაცხადა მინისტრმა ჯეფ რადებემ, კონკრეტული ვადის დასახელების გარეშე. ამჟამად, 3 725 მეგავატის შესყიდვა ხდება ეკოლოგიურად სუფთა წყაროებიდან, რომელიც ხუთრაუნდიანი პროგრამის

ფარგლებში შეფასებულია 12 მილიარდ აშშ დოლარად, ხოლო პროცესის დასრულების შემდეგ კიდევ 3 200 მეგავატის შესყიდვა იგეგმება.

აფრიკის უდიდესი ეკონომიკა ზეწოლას განიცდის, ვინაიდან Eskom Holdings SOC Ltd, რომელიც ქვეყანას მთლიანი ელექტროენერჯის 95%-ით ამარაგებს, ცდილობს, დააკმაყოფილოს დაძველებული ქვანახშირის ელექტროსადგურების მოთხოვნა. მთავრობის გეგმები მოიცავს Eskom-ის ფინანსურ დახმარებას, საავარიო გენერატორებისთვის აუცილებელი დიზელისათვის, გაზის იმპორტისა და უფრო მეტი ელექტროენერჯის შესაძენად შაქრის ქაღალდისა და მაკულატურის ინდუსტრიის

⁹ <http://www.hellenicshippingnews.com/kuwait-offers-biggest-oil-discount-to-asia-since-2008/>

დამოუკიდებელი მწარმოებლებისაგან, აღნიშნა რაბედემ. „ქვეყნის ელექტროენერჯის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო მოცულობის ნაკლებობა ჯერ კიდევ აქტუალური საკითხია. ყველა მცდელობა იმისკენაა მიმართული, რომ გავუმკლავდეთ ენერგოდეფიციტს.“

ამჟამად მთვარობა 1 390 მეგავატ ელექტროენერჯიას დამოუკიდებელი მწარმოებლებისაგან ყიდულობს და მარტში, კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ, გეგმავს მის კიდევ სამი წლით გაგრძელებას, განაცხადა ენერჯეტიკის მინისტრმა თინა ჯომატ-პეტერსონმა.¹⁰

ანალიტიკა

წყლის ენერჯია ქალაქის სამართავად

„სინო გრუპმა“ ჰონგ-კონგში პირველი შენობისშიდა ჰიდროელექტრო სისტემა შეიმუშავა, რომელიც მიწებში არსებულ წყლის ჭარბ წნევას ელექტროენერჯის გამოსამუშავებლად იყენებს.

კითხვებს, როგორც პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი, აღმასრულებელი დირექტორი დარილ ნგ ვინ-კონგი პასუხობდა.

ვინ-კონგმა განაცხადა, რომ რამდენიმე წლის წინ მან დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ჰიდროენერჯია, რომლის გენერირებაც ჩვეულებრივ ქალაქგარეთ არსებულ დიდ ობიექტებზე ხდება, ქალაქშიც იქნას მიღებული, და რაკი წყალი მუდმივად მიედინება შენობების მიწებში, მას შეეძინა შთაბეჭდილება, რომ უნდა არსებობდეს ამ ენერჯიის გადამუშავების რაიმე საშუალება.

ის კონცეფციის შემდგომი შესწავლის მიზნით ჰოგ-კონგის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან და „არუპის“ საინჟინრო ჯგუფთან ერთად მუშაობდა. გუნდმა ცოტა ხნის წინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მისი მეორე ფაზის პროტოტიპს აქვს 100 ვტ.სთ გენერაციის სიმძლავრე, ექვსჯერ მეტი ვიდრე პირველი ფაზისას.

მაგრამ სისტემის ენერჯო უპირატესობის საპირწონედ ხომ არ შექმნის ტურბინები წინააღმდეგობას წყლის ნაკადისათვის, აიძულებს რა ტუმბოებს უფრო მეტი სიმძლავრით იმუშაონ?

¹⁰ <http://www.bloomberg.com/news/2014-12-11/south-africa-plans-to-raise-renewable-energy-to-curb-blackouts.html>

„სინო გრუპის“ წარმომადგენელმა ივან იაუ მან-ვამ განმარტა, რომ მეცნიერებმა გაითვალისწინეს ეს საკითხი, მაგრამ ეს ფაქტობრივად პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ის რასაც ტურბინები იჭერენ, არის ჭარბი ენერჯია, რომელიც არსებობს შენობების ყველა წყლის სისტემაში.

კონცეფციის პრაქტიკულ გამოყენებაში გადატანა უამრავი ტექნიკური პრობლემების გადაჭრას გულისხმობს და კიდევ უფრო მეტი დრო სჭირდება მისი კომერციული სიცოცხლისუნარიანობის მიღწევას.

განვითარების ამ ეტაპზე, შენობისშიდა ჰიდროელექტროსისტემა დიდი ოდენობის ენერჯიას ვერ გამოიმუშავებს, მაგრამ თუ ეს გაკეთდება დიდი მასშტაბით, ერთიანი ენერგოდაზოგვა მნიშვნელოვანი მოცულობის იქნება.

ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველამ ვისწავლოთ გარემოზე ზრუნვა და რაღაც გავაკეთოთ მის დასახმარებლად, მიუხედავად იმისა, რამდენად უმნიშვნელოდ შეიძლება მოგვეჩვენოს ეს აქტი.¹¹

”ხე”, რომელიც ელექტროენერჯიას წარმოქმნის

ფრანგი ინჟინრების ჯგუფმა ხელოვნური ხე შექმნა, რომელსაც ქარის ელექტროენერჯიად გარდაქმნა შეუძლია.

ახალი მოწყობილობა თითქმის უხმოდ მუშაობს და ელექტროენერჯიას ჰაერის ოდნავ მოძრაობაზეც კი წარმოქმნის. ”იდეა თავში იმ დროს მომივიდა, როდესაც უქარო ამინდში, ფოთლების შრიალს ვადევნებდი თვალყურს. ენერჯიას ვიღებთ ჰაერიდან და გადაგვყავს ვატებში” - ამბობს Wind Tree-ის ავტორი ჟერომ მიშო-ლარივიერი, სტარტაპ კომპანიის დამფუძნებელი, რომელიც უკვე 2015 წელს ეკოლოგიურად სუფთა ელექტროენერჯიის გაყიდვებს გეგმავს. როგორც გაირკვა, ახალი მოწყობილობა ფოთლის ფორმის პლასტიკატებს იყენებს, რომლებიც ქარის ენერჯიას ელექტროენერჯიად აქცევენ. ამასთან, ქარის მიმართულება ზემოთ ნახსენებ პროცესზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენს.

8 მეტრიანი ხის შექმნაზე ინჟინრებმა სამი წელი დახარჯეს. ”ხე” ამჟამად საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთითაა განთავსებული. გამომგონებელი იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს მომავალში მსგავსი ”ხეები” ყველა ეზოს და ქუჩას დაამშვენებს.¹²

¹¹http://www.thestandard.com.hk/news_detail.asp?we_cat=5&art_id=152193&sid=43504044&con_type=3&str=20141210&fc=4

¹²

http://www.from.ge/%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90/172/_html